საქმე №3302101220006631103
საქმე №2/38689-22

8814913580592
www.ecd.court.ge

სააღსრულებო ფურცელი

05 ივლისი, 2023 წელი ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
მოსამართლე ალექსანდრე გზირიშვილი
მოსარჩელე - ირინა დარბაიძე
მოპასუხე - შპს „ალუ“
დავის საგანი - ხელშეკრულების შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება, თანხის დაკისრება

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
07 აპრილი, 2023 წელი
გადაწყვეტილების (განჩინების) გამომტანი სასამართლო, გამოტანის თარიღი

გადაწყვეტილების (განჩინების) სარეზოლუციო ნაწილი:

2. შპს „ალუს“ ირინა დარბაიძის სასარგებლოდ დაეკისროს 103 000 აშშ დოლარის გადახდა;

3. შპს „ალუს“ ირინა დარბაიძის სასარგებლოდ დაეკისროს 805 810 აშშ დოლარის გადახდა;

4. შპს „ალუს“ ირინა დარბაიძის სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის - 3000 ლარის და სარჩელის უზრუნველყოფაზე გადახდილი ბაჟის - 50 ლარის ანაზღაურება;

კრედიტორის დასახელება და რეკვიზიტები:
ირინა დარბაიძე პ/ნ 01004005210
მისამართი - თბილისი, ზარზმის ქუჩა №5, ბინა №57

მოვალის დასახელება და რეკვიზიტები:
შპს „ალუ“ ს/ნ 405158289
მისამართი - თბილისი, ვაკის რაიონი, ატენის ქუჩა №18ბ, ბინა №18
თბილისი, დიდი დიღომი, ფარნავაზ მეფის ქუჩა N34

სააღსრულებო ფურცლის გაცემის თარიღი - 05 ივლისი, 2023 წელი

მოსამართლე ალექსანდრე გზირიშვილი

საქმე №3302101220066315103
საქმე №2/38689-22

8567515896072
www.ecd.court.ge

დაუსწრებელი გადაწყვეტილება

საქართველოს სახელით

მოპასუხის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო

07 აპრილი, 2023 წელი ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
მოსამართლე - ალექსანდრე გზირიშვილი
სხდომის მდივანი - ქეთევან ლაზარაშვილი

მოსარჩელე - ირინა დარბაიძე
წარმომადგენლები - გიორგი ჯავახია, გიორგი ნასყიდაშვილი

მოპასუხე - შპს „ალუ“
წარმომადგენელი - გიორგი გელაძე

დავის საგანი - ხელშეკრულების შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება, თანხის დაკისრება

სასამართლომ ღია სხდომაზე განიხილა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას 2022 წლის 23 დეკემბერს სასარჩელო განცხადებით მომართა ირინა დარბაიძის წარმომადგენელმა, მოპასუხე შპს „ალუს“ მიმართ, ხელშეკრულების შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების და თანხის დაკისრების მოთხოვნით.

მოსარჩელემ თავისი სასარჩელო მოთხოვნა დაამყარა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

მხარეებს შორის 2021 წლის 21 სექტემბერს გაფორმდა „მიწის ნაკვეთის [illegible] საცხოვრებელი დანიშნულების ფართისა და თანხის მიღების შესახებ“ ხელშეკრულება, რომლის მიხედვით მოსარჩელე ირინა დარბაიძე მის საკუთრებაში [illegible] ქონებას

მდებარე - თბილისი, ყიფშიძის ქუჩა №8/10 კორპუსებს შორის ს/კ: 01.14.14.002.145, საკუთრებაში გადასცემდა შპს „ალუს“, ხოლო სანაცვლოდ შპს „ალუ“ იღებდა ვალდებულებას ირინა დარბაიძის ან მის მიერ დასახელებული მესამე პირისათვის საკუთრებაში გადაეცა სულ 1398 კვ.მ საცხოვრებელი დანიშნულების ფართი, 12 მიწისქვეშა ავტოსადგომი და 103 000 აშშ დოლარი. ხელშეკრულების თანახმად, ერთ-ერთი პირობა იყო ისიც, რომ ირინა დარბაიძეს ან მის მიერ დასახელებულ მესამე პირს უძრავი ქონება უნდა მიეღოთ ს/კ: 01.10.06.006.245 რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მდებარე: თბილისი ფარნავაზ მეფის გამზირი №34.

ხელშეკრულების პირობების მიხედვით, უძრავი ქონებების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მიზნებისათვის გაფორმდებოდა დამატებითი ხელშეკრულებები, თუმცა აღნიშნული დამატებითი ხელშეკრულებები იქნებოდა არა დამოუკიდებელი გარიგებები, არამედ შესრულდებოდა 2021 წლის 21 სექტემბრის ხელშეკრულებით ნაკისრი, შპს „ალუს“ მიერ ნაკისრი უძრავი ქონების საკუთრებასა და პირდაპირ მფლობელობაში გადაცემის ვალდებულება.

2021 წლის 21 სექტემბრის ხელშეკრულებით განისაზღვრა შპს „ალუს“ მიერ ვალდებულების შესრულების წესი, კერძოდ უძრავი ქონებები უნდა ყოფილიყო უფლებრივად უნაკლო, ამასთანავე საცხოვრებელი დანიშნულების ბინები ქვემოთ მითითებულ ნივთობრივ მდგომარეობაში ირინა დარბაიძეს უნდა მიეღო შემდეგი გრაფიკის დაცვით: არაუგვიანეს 2021 წლის 30 სექტემბრისა 200 კვ.მ, არაუგვიანეს 2021 წლის 31 ოქტომბრისა 150 კვ.მ, არაუგვაიანეს 2022 წლის 01 სექტემბრისა დარჩენილი 1048 კვ.მ. ირინა დარბაიძის სასარგებლოდ 103 000 აშშ დოლარის გადახდა უნდა შესრულებულიყო შემდეგი გრაფიკის დაცვით: 34 000 აშშ დოლარი არაუგვიანეს 2021 წლის 30 სექტემბრისა, 34 000 აშშ დოლარი არაუგვიანეს 2021 წლის 31 ოქტომბრისა, 35 000 აშშ დოლარი არაუგვიანეს 2021 წლის 30 ნოემბრისა.

ირინა დარბაიძემ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შეასრულა და უძრავი ქონება მდებარე: თბილისი, ყიფშიძის ქუჩა №8/10 კორპუსებს შორის ს/კ: 01.14.14.002.145 საკუთრებასა და პირდაპირ მფლობელობაში გადასცა შპს „ალუს“, ხოლო მოპასუხემ სანაცვლო ვალდებულება მხოლოდ ნაწილობრივ შეასრულა, კერძოდ ხელშეკრულების 2.4 პუნქტის შესაბამისად, ირინა დარბაიძის მეუღლეს - გოჩა დარბაიძეს და მათ შვილებს საკუთრებაში გადასცა სულ 337.7 კვ.მ ფართი, მდებარე თბილისი, ფარნავაზ მეფის №34, ს/კ: 01.10.06.006.245.

შპს „ალუ“ დღეის მდგომარეობით ვალდებულია ირინა დარბაიძეს საკუთრებაში გადასცეს სულ 1060.3 კვ.მ საცხოვრებელი დანიშნულების ფართი, 12 მიწისქვეშა ავტოსადგომი და გადაუხადოს 103 000 აშშ დოლარი.

ირინა დარბაიძის დაკვეთით შედგენილი იქნა დამოუკიდებელი შემფასებლის დასკვნა, რომლის მიხედვით 1 კვ.მ საცხოვრებელი დანიშნულების ფართის ღირებულებაა 700 აშშ დოლარი, ხოლო მიწისქვეშა პარკინგის ღირებულება 5300 აშშ დოლარი.

<u>სარჩელით მოსარჩელე ითხოვს:</u>

- შპს „ალუს“ ირინა დარბაიძის სასარგებლოდ დაეკისროს 103 000 აშშ დოლარის გადახდა.
- შპს „ალუს“ ირინა დარბაიძის სასარგებლოდ დაეკისროს 805 810 აშშ დოლარის გადახდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე შპს „ალუმ“ 2023

წლის 21 თებერვალს წარმოუდგინა შესაგებელი. სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია დაენიშნა სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა 2023 წლის 07 აპრილს, 12:00 საათზე. მოპასუხე შპს „ალუს“ წარმომადგენელს გიორგი გელაძეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესის შესაბამისად, ეცნობა, სასამართლოს მოსამზადებელი სხდომის დანიშვნის თაობაზე. კერძოდ, გიორგი გელაძეს 2023 წლის 27 თებერვალს პირადად ჩაბარდა სასამართლო უწყება და მასვე განემარტა სასამართლოში გამოუცხადებლობის შედეგები (იხ. ტელეფონით სასამართლოში დაბარების შესახებ აქტი. ს.ფ. 218).

2023 წლის 07 აპრილს დანიშნულ სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხე მხარე, რომლისთვისაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესის შესაბამისად ცნობილი იყო სასამართლოს მოსამზადებელი სხდომის თარიღი.

2023 წლის 07 აპრილს გამართულ სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენელმა გიორგი ჯავახიამ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით მინიჭებული უფლება და იშუამდგომლა, მოპასუხე შპს „ალუს“ მიმართ, არასაპატიო მიზეზით სასამართლოს სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე.

სასამართლოს მიაჩნია, რომ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგი წინაპირობები:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილებით, მხარეს ან მის წარმომადგენელს, სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს სასამართლო უწყება უნდა ჩაჰბარდეთ იმ ვარაუდით, რომ მათ ჰქონდეთ სასამართლოში დროულად გამოცხადებისა და საქმის მომზადებისათვის გონივრული ვადა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის თანახმად, თუ სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება. ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე.

მითითებული ნორმების დანაწესიდან გამომდინარე, სასამართლო უფლებამოსილია, მიიღოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, თუ მოპასუხე, რომელსაც საქმის განხილვის დრო კანონით დადგენილი წესით ეცნობა, არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე და არც თავისი გამოცხადების შეუძლებლობის თაობაზე აცნობა სასამართლოს

2023 წლის 07 აპრილის სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა ნაცვლად 12:00 საათისა, გაიხსნა 26 წუთის დაგვიანებით, 12:26:09 საათზე, არსებობდა რა მოლოდინი, რომ მოპასუხის წარმომადგენელი გამოცხადდებოდა სასამართლო სხდომაზე, თუმცა იგი არ გამოცხადებულა და არც გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ უცნობებია სასამართლოსათვის. სასამართლო სხდომაზე გამოცხადებული შესვენების ფორმატში მოსამართლის სხდომის მდივანი დაუკავშირდა მოპასუხის წარმომადგენელს გიორგი გელაძეს, რომელმაც განმარტა, რომ იგი არ იმყოფება ქალაქში, ვინაიდან გარდაეცვალა ახლობელი. სასამართლოს მიაჩნია, რომ მოპასუხის სხდომაზე გამოუცხადებლობა არასაპატიოა და სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება.

სასამართლომ დამტკიცებულად ჩათვალა სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები:

- მხარეებს შორის 2021 წლის 21 სექტემბერს გაფორმდა „მიწის ნაკვეთის გადაცემის სანაცვლოდ საცხოვრებელი დანიშნულების ფართისა და თანხის მიღების შესახებ“ ხელშეკრულება, რომლის მიხედვით მოსარჩელე ირინა დარბაიძე მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას მდებარე - თბილისი, ყიფშიძის ქუჩა №8/10 კორპუსებს შორის ს/კ: 01.14.14.002.145, საკუთრებაში გადასცემდა შპს „ალუს“, ხოლო სანაცვლოდ შპს „ალუ“ იღებდა ვალდებულებას ირინა დარბაიძის ან მის მიერ დასახელებული მესამე პირისათვის საკუთრებაში გადაეცა სულ 1398 კვ.მ საცხოვრებელი დანიშნულების ფართი, 12 მიწისქვეშა ავტოსადგომი და 103 000 აშშ დოლარი. ხელშეკრულების თანახმად, ერთ-ერთი პირობა იყო ისიც, რომ ირინა დარბაიძეს ან მის მიერ დასახელებულ მესამე პირს უძრავი ქონება უნდა მიეღოთ ს/კ: 01.10.06.006.245 რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მდებარე: თბილისი, ფარნავაზ მეფის გამზირი №34.

- ხელშეკრულების პირობების მიხედვით, უძრავი ქონებების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მიზნებისათვის გაფორმდებოდა დამატებითი ხელშეკრულებები, თუმცა აღნიშნული დამატებითი ხელშეკრულებები იქნებოდა არა დამოუკიდებელი გარიგებები, არამედ შესრულდებოდა 2021 წლის 21 სექტემბრის ხელშეკრულებით ნაკისრი, შპს „ალუს“ მიერ ნაკისრი უძრავი ქონების საკუთრებასა და პირდაპირ მფლობელობაში გადაცემის ვალდებულება.

- 2021 წლის 21 სექტემბრის ხელშეკრულებით განისაზღვრა შპს „ალუს“ მიერ ვალდებულების შესრულების წესი, კერძოდ უძრავი ქონებები უნდა ყოფილიყო უფლებრივად უნაკლო, ამასთანავე საცხოვრებელი დანიშნულების ბინები ქვემოთ მითითებულ ნივთობრივ მდგომარეობაში ირინა დარბაიძეს უნდა მიეღო შემდეგი გრაფიკის დაცვით: არაუგვიანეს 2021 წლის 30 სექტემბრისა 200 კვ.მ, არაუგვიანეს 2021 წლის 31 ოქტომბრისა 150 კვ.მ, არაუგვაინეს 2022 წლის 01 სექტემბრისა დარჩენილი 1048 კვ.მ. ირინა დარბაიძის სასარგებლოდ 103 000 აშშ დოლარის გადახდა უნდა შესრულებულიყო შემდეგი გრაფიკის დაცვით: 34 000 აშშ დოლარი არაუგვიანეს 2021 წლის 30 სექტემბრისა, 34 000 აშშ დოლარი არაუგვიანეს 2021 წლის 31 ოქტომბრისა, 35 000 აშშ დოლარი არაუგვიანეს 2021 წლის 30 ნოემბრისა.

- ირინა დარბაიძემ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შეასრულა და უძრავი ქონება მდებარე: თბილისი ყიფშიძის ქუჩა №8/10 კორპუსებს შორის ს/კ: 01.14.14.002.145 საკუთრებასა და პირდაპირ მფლობელობაში გადასცა შპს „ალუს“, ხოლო მოპასუხემ სანაცვლო

ვალდებულება მხოლოდ ნაწილობრივ შეასრულა, კერძოდ ხელშეკრულების 2.4 პუნქტის შესაბამისად, ირინა დარბაიძის მეუღლეს - გოჩა დარბაიძეს და მათ შვილებს საკუთრებაში გადასცა სულ 337.7 კვ.მ ფართი, მდებარე თბილისი, ფარნავაზ მეფის №34, ს/კ: 01.10.06.006.245.

- შპს „ალფუ“ დღეის მდგომარეობით ვალდებულია ირინა დარბაიძეს საკუთრებაში გადასცეს სულ 1060.3 კვ.მ საცხოვრებელი დანიშნულების ფართი, 12 მიწისქვეშა ავტოსადგომი და გადაუხადოს 103 000 აშშ დოლარი.

- ირინა დარბაიძის დაკვეთით შედგენილი იქნა დამოუკიდებელი შემფასებლის დასკვნა, რომლის მიხედვით 1 კვ.მ საცხოვრებელი დანიშნულების ფართის ღირებულებაა 700 აშშ დოლარი, ხოლო მიწისქვეშა პარკინგის ღირებულება 5300 აშშ დოლარი.

სასამართლოს მიაჩნია, რომ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, კერძოდ:

სარჩელში მითითებული და დამტკიცებულად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 361-ე, 394-ე, 408-ე, 477-ე მუხლების თანახმად, იურიდიულად ამართლებენ სასარჩელო მოთხოვნას. ამასთან, არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლით, რის გამოც მიღებული უნდა იქნეს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელის მიერ სარჩელზე წინასწარ იქნა გადახდილი სახელმწიფო ბაჟი - 3000 ლარის ოდენობით, ასევე სარჩელის უზრუნველყოფაზე გადახდილი ბაჟი - 50 ლარი, რომლის გადახდაც უნდა დაეკისროს მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 53-ე, 70-ე-78-ე, 230-ე, 233-ე-237-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მიღებული იქნეს დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ირინა დარბაიძის სარჩელი შპს „ალფუ“-ს მიმართ დაკმაყოფილდეს;

2. შპს „ალფუს“ ირინა დარბაიძის სასარგებლოდ დაეკისროს 103 000 აშშ დოლარის გადახდა;

3. შპს „ალფუს“ ირინა დარბაიძის სასარგებლოდ დაეკისროს 805 810 აშშ დოლარის გადახდა;

4. შპს „ალფუს“ ირინა დარბაიძის სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის - 3000 ლარის და სარჩელის უზრუნველყოფაზე გადახდილი ბაჟის - 50 ლარის ანაზღაურება;

25

5. მოპასუხეს გაეგზავნოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი და განემარტოს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში საჩივრის შემოტანის გზით, მისთვის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან 10 (ათი) დღის ვადაში, ხოლო აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში და აღარ გასაჩივრდება;

მოსამართლე ალექსანდრე გზირიშვილი

ასლი დედანთან სწორია
შესულია კანონიერ ძალაში
თბილისის საქალაქო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
[illegible]: [illegible]
10 [illegible] 202 წ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
აღსრულების ეროვნული ბიურო
თბილისის სააღსრულებო ბიურო

საქართველო, თბილისი 0131, დავით აღმაშენებლის ხეივანი N99; ტელ: +(995 32) 274 96 49;+(995 32) 274 96 49; ელ.ფოსტა: info@nbe.gov.ge; ვებ-გვერდი: www.nbe.gov.ge

A24053921

26.03.2024

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს

გაცნობებთ, რომ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმოებაშია, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 05/07/2023 გაცემული № 2/38689-22 აღსრულების ქვემდებარე აქტი (სააღსრულებო წარმოება № # A24053921).

სააღსრულებო ფურცლის აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლის I პუნქტის თანახმად, გთხოვთ, რეგისტრაციაში გაატაროთ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ დადებული ყადაღა მოვალის:

შპს ალუ (405158289) კუთვნილ უძრავ ქონებაზე/უძრავი ქონების წილზე, მდებარე:

მისამართი : ქალაქი თბილისი, გიორგი ბრწყინვალის ქუჩა, N 20ა ; საკადასტრო კოდი: 01.10.06.014.129

საბანკო ქვითრის ნომერი: NBEP2311450224

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

აღმასრულებელი **ხათუნა თურმანიძე**